გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ. გარდაბანი 03 სექტემბერი 2026 წელი

15სთ. 30 წთ.

სოციალურ საკითხთა კომისიის გაფართოებული სხდომა ჩატარდა 2026 წლის 03 სექტემბერს. კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, კომისიის წევრებისათვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას უძღვება სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძე

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი.

1. ლია მეტრეველი
2. კამრან ბაბაევი
3. ფლორა ასკაროვა
4. იუსუფ მელაძე
5. არკადი ფანგანი
6. ქართლოსი მამულაძე
7. ხვიჩა ჩიტიაშვილი
8. გიორგი გამეზარდაშვილი
9. ანი მანჩხაშვილი
10. მირზა მირზოევი
11. დავითი ებილაშვილი

არ ესწრებოდა:

1. ანა დადეშქელიანი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ გედეხაური;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - სამირ ხიალოვი;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ვუგარ მამედოვი;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიორგი გურულიშვილი;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ლევან ნიჟარაძე;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე - დავით ჭინჭარაული;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ბენდელიანი;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - თორნიკე ქავთარაძე;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარე - ოთარი გავაშელიშვილი;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ზაქირ დაშდამიროვი;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ლაშა ქართლოსიშვილი;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ბეთქილი კახიანი;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - იოსები ძამნაშვილი;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ლევანი ბეგლარიშვილი;
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საორგანიზაციო განყოფილება) ხელმძღვანელი - ვახტანგ მამუკაშვილი;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასამტკიცებლად დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

,,გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ - 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოგახსენებთ, რომ 2024 წლის 30 აპრილს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება N9 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“.

სოციალურ საკითხთა კომისიამ 2026 წლის 3 სექტემბრის სხდომაზე განიხილა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილება. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები რიგ საკითხებთან დაკავშირებით: შეტანილ იქნეს ცვლილება დანართის მეოთხე მუხლის მეორე პუნქტში; დანართის მეორე მუხლის მეორე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს ვ) ქვეპუნქტი და სხვა ტექნიკური ხასიათის საკითხები.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2026 წლის 3 სექტემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისია მხარს უჭერს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის“ შესახებ საკითხის გატანას შემდგომი განხილვის მიზნით, ბიუროსა და საკრებულოს უახლოეს სხდომებზე.

აზრი გამოთქვეს:

თამარ ხაჩიძემ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - მან განმარტა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილებიდან ამოღებულ იქნას მეორე მუხლის ვ) პუნქტი, ვინაიდან ფედერაციის მიერ გამოგზავნილი სპორტული შეჯიბრის დებულების ნოტარიულად თარგმნა დაკავშირებულია ფინანსურ ხარჯებთან, რაც სპორტსმენის უქმნის დამატებით ფინანსურ ტვირთს.

ლევან ნიჟარაძემ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს უშუალოდ სპორტული ფედერაციის მიერ გამოგზავნილ ოფიციალურ წერილსა და შესაბამის დიპლომზე.

დავითი ებილაშვილმა - სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა, წამოაყენა წინადადება, რომ დანართის მეოთხე მუხლის მეორე პუნქტს ქართულ ჭიდაობაში, საქართველოს აბსოლუტურ ფალავნობას (ფალავანთა ფალავანი) დაემატოს წონით კატეგორიებში გამარჯვებული ფალავნების დაჯილდოვება.

კენჭისყრის შედეგები;

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

კომისიამ დაადგინა:

,,გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ - 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: თამარ ხაჩიძე

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაზე დამსწრეთა სია

03. 09. .26 წ.

15. სთ 30. წთ.

1. თამარ ხაჩიძე
2. ლია მეტრეველი
3. მირზა მირზოევი
4. კამრან ბაბაევი
5. არკადი ფანგანი
6. დავითი ებილაშვილი
7. ქართლოსი მამულაძე
8. ხვიჩა ჩიტაშვილი
9. ფლორა ასკაროვა
10. ანი მანჩხაშვილი
11. გიორგი გამეზარდაშვილი
12. ანა დადეშქელიანი
13. იუსუფ მელაძე

კენჭისყრა საკითხებზე

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ - 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

№	გვარი სახელი	მომხრე	წინააღმდეგი
1	თამარ ხაჩიძე		
2	ლია მეტრეველი		
3	მირზა მირზოევი		
4	კამრან ბაბაევი		
5	არკადი ფანგანი		
6	დავითი ებიდაშვილი		
7	ქართლოსი მამულაძე		
8	ხვიჩა ჩიტაშვილი		
9	ფლორა ასკაროვა		
10	ანი მანჩხაშვილი		
11	გიორგი გამეზარდაშვილი		
12	ანა დადეშქელიანი		
13	იუსუფ მელაძე		